RUSALLOYS

№ 01-091/01-19

/ 18 / 09 / 2019 წ.

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს

ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ შპს „რუსელოის"-ი (404504327) გეგმავს ს.ს. „რუსთავი ა'ხიტი" ს კუთვნილ „ქს-01"-ს და შპს „რუსელოი" ს კუთვნილ ქვესადგურის დამაკავშირებელი 110 კვ ძაბვის საჰაერო ერთჯაჭვიანი ელექტროგადამცემი ხაზის, ტრასის სიგრძით 3,952 კმ, აშენებლობასა და ესპლუატაციას.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართის მე-3 პუნქტის 3.4 ქვეპუნქტის თანახმად "35 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა, 110 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის ქვესადგურის განთავსება" მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი" ს II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას. ამ კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობისთვის გზშ-მდე ხორციელდება სკრინინგის პროცედურა. გარდა ამ მუხლის მე-13 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, რომლის შესაბამისად, "თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს ამ კოდექსის მე 8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „რუსელოის"-ი გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. ამიტომ საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი" ს მე-8 მუხლის შესაბამისად შეძლებული იქნა სკოპინგის ანგარიში (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე), რომელსაც წარმოგიდგენთ სკოპინგის დასკვნის გასაცემად.

შპს „რუსელოის" / „Rusalloys" Ltd., საიდენტიფიკაციო კოდი / ID: 404504327
საქართველო, თბილისი 0108, მ. ბროსეს ქ. 2, ოფისი №25
Office №25; 2, M. Brosse str., 0108 Tbilisi, Georgia
ტელ./Tel.: (+995 32) 224 40 60
E-mail: info@rusalloys.com
www.rusalloys.com

№ 16310
14 11 2019

დანართი: 1. სკოპინგის ანგარიში (დოკუმენტის ნაბეჭდი და ელ. ვერსია);

2. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად);

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

ნუგზარ კევლიშვილი

RUSALLOYS LTD * 404504327 *